



მოქალაქეები | ახალი ამბები | სტატისტიკა | ბლოგები | საინფორმაციო სექტორი

ახალი ►  
მოხსენიები ►

ხელი | ხმები

RSS

English Articles

ეკონომიკა-ბიზნესი

18 ნოემბერი, 2011 - 18:27

EBRD-ის გასაჩივრების მექანიზმი დაზარალებულ მოსახლეობას ეხმარება

Announcement



ლიბერალი №104  
29 დეკემბერი, 2011

- გულიაშვილის მოედანი
- "საქართველოს ფოსტა" - გზა მომგებიან ბიზნესად ტრანსფორმაციისკენ
- ფასადების ფეტიში

ფორუმი

უნდა დახარჯოს თუ არა მერიამ 3 მილიონი საახალწლო ღონისძიებებზე?  
16 დეკემბერი, 2011 - 43 კომენტარი

»

მეტ »



ცინა გვასალია

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (European Bank for Reconstruction and Development, EBRD) გასაჩივრების მექანიზმის წარმომადგენელმა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის მიერ დაზარალებულ მოსახლეობას წერილი მოსწერა.

ბანკს გასაჩივრების მექანიზმი გააჩნია. მექანიზმი დამოუკიდებელი ორგანოა და მხოლოდ ბანკის პრეზიდენტს ემორჩილება. როცა მოსახლეობა ან რომელიმე ორგანიზაცია ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტით უკმაყოფილოა, გასაჩივრების მექანიზმი პრობლემებს დამოუკიდებლად განიხილავს და მოსახლეობას მათ გადაჭრაში ეხმარება. გარდა ამისა, მექანიზმი ამონებს, რამდენად შეესაბამება პროექტი ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას და სტანდარტებს.

ამ მექანიზმის ოფიცერმა, ანუ გეგმარმა, ავტალის მოსახლეობას და მათ ოფიციალურ წარმომადგენელს, დავით ჭიპაშვილს 8 ნოემბერს, წერილი მოსწერა.

„როგორც თქვენთვის ცნობილია, დამდეგ კვირაში ჩვენ დაგეგმილი გვქონდა თბილისში ჩამოსვლა თქვენსა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის თქვენს მიერ ჩვენთან შეხვედრაზე წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისაკენ მიმართული საინფორმაციო შეხვედრის ხელშეწყობის მიზნით. სამწუხაროდ, ვითარება შეიცვალა ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ. ახლახან „საქართველოს რკინიგზამ“ ოფიციალურად აცნობა „ევროპის ბანკს“ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ გააუქმოს სესხი, რომელიც დამტკიცდა „ბანკის“ მიერ თბილისის რკინიგზის შემოვლითი გზის პროექტისთვის, რომლის გაუქმებაც ძალაში შევა უახლოეს ხანში.

თქვენთან ერთად სექტემბრის ბოლოს „საქართველოს რკინიგზაში“ სტუმრობისას ჩვენ გვსურდა: 1) დაგვედასტურებინა, რომ ორივე მხარეს კვლავ სურდა მონაწილეობის მიღება პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივაში (PSI - Problem Solving Initiative) და 2) მოგვზადებულყავით საინფორმაციო შეხვედრისათვის, რომელიც, ვიმედოვნებდით, იქნებოდა პირველი ნაბიჯი თქვენსა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის დიალოგის გამართვისკენ და შესაძლოა, გიპასუხებდათ ზოგიერთ კითხვაზე. კომპანიამ მართლა დადასტურა, რომ მიიღებდა მონაწილეობას 10 ნომბრის საინფორმაციო შეხვედრაში.

„საქართველოს რკინიგზიდან“ დღემდე არ გვქონდა რამე ცნობა მის მიერ „ბანკის“ სესხის გაუქმების თაობაზე და მეტად მოულოდნელი იყო, როცა ახლახანს შევიტყვეთ სხენებული გადაწყვეტილების შესახებ. ახლა, რამდენადაც „საქართველოს რკინიგზამ“ უარი განაცხადა „ბანკის“ მიერ დაფინანსებაზე და „ბანკი“ აღარ მონაწილეობს პროექტში, ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ შევაჩეროთ პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივა (PSI - Problem Solving Initiative).

ორივე მეტად იმედგაცრულებულნი ვართ იმის გამო, რომ იძულებულნი ვართ შევაჩეროთ პროექსი PSI -ს ფარგლებში ჩვენს მიერ დასახული მიზნების მიღწევის გარეშე.

თქვენგან მიღებულ შეკითხვებს ჩვენ გადავუგზავნით „საქართველოს რკინიგზას“ და შევთავაზებთ თავად მოახდინონ თქვენთან შეხვედრის ორგანიზება წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად. იმედი გვაქვს, პროდუქტიული დიალოგი „საქართველოს რკინიგზასთან“ კვლავაც შესაძლებელი იქნება მასში ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

ამასობაში, თქვენს მიერ საჩივარში მოთხოვნილი „შესაბამისობის შემოწმება“ გეგმიურად გაგრძელდება, ჩვენ კი ვაცნობებთ, „შესაბამისობის შემოწმების ექსპერტის“ დანიშვნის და პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გვსურს შეგახსენოთ, რომ „შესაბამისობის შემოწმება“ ფოკუსირებული იქნება განცხადებებზე „გარემოსა და

სოციუმზე ზეგავლენის შეფასების" და „გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის" საბოლოო ვერსიებში მითითებული სოციალური ზეგავლენისა და შერბილების ღონისძიებების არაადეკვატურად შეფასების შესახებ. „შესაბამისობის შემოწმების" ფარგლებში უნდა შემოწმდეს, იცავდა თუ არა ბანკი საკუთარ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას.

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მოგემართოთ უყოყმანოდ."

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი 290 (დღგ-ს გარეშე) მილიონ ევროდ ღირებული პროექტია, რომელსაც 100%-ით სახელმწიფოს მფობელობაში მყოფი კომპანია „საქართველოს რკინიგზა" ახორციელებს. გასულ წელს კომპანიამ ბანკთან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება 100 მილიონი ევროს სესხის ოდენობით, თუმცა, ამ წლის შემოდგომაზე კომპანიამ თვითონვე თქვა უარი სესხზე. ავტალაში მცხოვრებმა 12-მა ოჯახმა საჩივრით მიმართა ბანკს, საჩივარში მოსახლეობა ითხოვდა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დადგენილიყო ბუფერული ზონა და ამ ზონის ფარგლებში მოქცეული მოსახლეობისთვის შესაბამისი კომპენსაციები გადაეხადათ, რადგან აღნიშნული პროექტის გამო ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა მათ სახლში ცხოვრება.

საჩივრის მომზადებაში ავტალის მოსახლეობას ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი ეხმარებოდა. სწორედ ამ საჩივრების საპასუხოდ მოსწენრა გასაჩივრების მექანიზმის ოფიცერმა პასუხი ავტალის მოსახლეობასაც და ჭიპაშვილს, მათ წარმომადგენელს ბანკთან.

„მოსახლეობა უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია, აბსოლუტურად უიმედო განწყობა სუფევს", - ამბობს ჭიპაშვილი, რომელმაც თვითონ აჩვენა მოსახლეობას წერილი. - „თუმცა, ჩვენ ვაპირებთ მოვამზადოთ წერილი და გავგზავნოთ სახალხო დამცველთან."

Like 35 people like this. Be the first of your friends.

ამავე თემაზე:

შეფერხებული სესხი

Share / Save 16 -16 დემე (შეუმონმებელი) - 19 ნოემბერი, 2011 - 21:52

ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის სესხზე უარის თქმა, ნიშნავს თუ არა იმას რომ რკინიგზის შემოვლითი ხაზის მშენებლობა შეჩერდა?

პასუხი

სტატის ავტორი (შეუმონმებელი) - 19 ნოემბერი, 2011 - 22:37

სტატიაში წერია, რომ ბანკმა კი არ თქვა უარი სესხზე, არამედ თვით კომპანია "საქართველოს რკინიგზამ." კომპანია აცხადებს, რომ "სესხი არ სჭირდება", ამონარიდი ფეისბუქის კომენტარიდან: Irma Stepnadze რატომ უნდა აიღო სესხი, თუნდაც დაბალპროცენტიანი, თუ სესხი საერთოდ არ გჭირდება????? აქამდე ჩემს კითხვებს არ პასუხობდნენ ოფიციალურად, ეს დისკუსია სტატის ლინკზე გაიმართა ფეისბუქზე. კომპანიის საზ. ურთ. ხელმძღვანელი ქ-ნი ირმა სტეფნაძე შემპირდა, რომ ორშაბათს უპასუხებს ჩემს კითხვებს. რა თანხებით გააგრძელებს უკვე დაწყებულ მუშაობას კომპანია, არ ვიცი. ამასაც ვკითხავ

პასუხი

ზურაბ ბაქრაძე (შეუმონმებელი) - 20 ნოემბერი, 2011 - 00:22

ქალბატონო ცირა, გთხოვთ ქალბატონ ირმა ტეფნაძესთან ისიც გაარკვიოთ, გარანტირებულია თუ არა თბილისის ზღვის, როგორც სასმელი წყლის რეგულაციის დაბინძურების თავიდან აცილება და თუ ამაზე დადებითად გიპასუხათ, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა მოსთხოვოთ. როგორც ამ პრობლემისადმი მიძღვნილი აღრიხდელი სტატის კომენტარში ვწერდი, ამ თვალსაზრისით ეჭვს იწვევს შემოვლითი მაგისტრალის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც პროექტის გაიაფების მიზნით თბილისის ზღვას მიუახლოვეს (არსებობდა უფრო შორიდან შემოვლის იარაღი, რომელიც თბილისის ზღვას ნამოილით არ დაბინძურებდა) რამდენადაც